პ რ ო ე ქ ტ ი

ონის მუნიციპალიტეტის 2024 წლის დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულების შესახებ

2024 წლის ონის მუნიციპალიტეტის დაზუსტებული ბიუჯეტის შემოსულობების გეგმამ შეადგინა 25 679,8 ათ. ლარი, ნაშთი 2024 წლის 1 იანვრისათვის იყო 4 336,8 ათ. ლარი, აქედან სახელმწიფო ხაზინაში დასაბრუნებელი თანხა 8,7 ათ. ლარი და 2024 წლის დაზუსტებული ბიუჯეტის მოცულობა განისაზღვრა 30 008,0 ათ. ლარით.

შემოსულობები: 2024 წლის დაზუსტებული ბიუჯეტის შემოსულობების გეგმამ შეადგინა 25 679,8 ათ. ლარი, ფაქტიურად შემოვიდა 25 331,8 ათ. ლარი (99%), აქედან: ქონების გადასახადის გეგმა 1 150,0 ათ. ლარი - ფაქტი 1 173,9 ათ. ლარი (102%); დამატებული ღირებულების გადასახადის გეგმა 7 798,8 ათ. ლარი - ფაქტი 7 978,7 ათ. ლარი (102%); გრანტების გეგმამ (სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი) შეადგინა 15 881,0 ათ. ლარი - ფაქტი 15 651,2 ათ. ლარი (99%); სხვა შემოსავლების გეგმამ შეადგინა 800,0 ათ. ლარი, ხოლო ფაქტიურად შემოვიდა 485,0 ათ. ლარი (61%), აქედან: პროცენტის გეგმა 230,0 ათ. ლარი - ფაქტი 142,2 ათ. ლარი (62%); რენტა გეგმა 180,0 ათ. ლარი - ფაქტი 120,9 ათ. ლარი (67%); სანებართვო მოსაკრებლების გეგმა შეადგენდა 20,0 ათ. ლარს ფაქტი 23,9 ათ. ლარი (120%); ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის გეგმა 15,0 ათ. ლარი - ფაქტი 12,0 ათ. ლარი (80%); არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურებიდან შემოვიდა 0,1 ათ. ლარი; ჯარიმები, სანქციები და საურავების შემოსავლების გეგმამ შეადგინა 50,0 ათ. ლარი - ფაქტი 21,8 ათ. ლარი (44%); ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარეშე დაიგეგმა 305,0 ათ. ლარი, შემოვიდა 164,0 ათ. ლარი (54%); არაფინანსური აქტივების კლების გეგმა 50,0 ათ. ლარი - ფაქტიურად შემოვიდა 43.0 ათ. ლარი (86%)

გადასახდელები: ონის მუნიციპალიტეტის 2024 წლის დაზუსტებული ბიუჯეტის გადასახდელების გეგმამ შეადგინა 30 008,0 ათ. ლარი და ფაქტიურად გაიხარჯა 28 256,0 ათ. ლარი (94%) აქედან:

მმართველობა და საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 4 149,9 ათ. ლარი - ფაქტი 4 005,9 ათ. ლარი (97%); აქედან წარმომადგენლობითი ორგანოს (საკრებულოს) ხარჯების გეგმა იყო 1 146,3 ათ. ლარი - ფაქტიურად გაიხარჯა 1 117,0 ათ. ლარი (97%); აღმასრულებელი ორგანოს (მერიისა და მასში შემავალი სამსახურების) ხარჯების გეგმა 2 966,8 ათ. ლარი - ფაქტი 2 883,2 ათ. ლარი (97%); სარეზერვო ფონდის გეგმა 24,1 ათ. ლარი; ასოცირებული საწევრო გადასახადის გეგმა 5,7 ათ. ლარი - ფაქტი 5.6 ათ. ლარი (99%); ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის მხარდაჭერის გეგმამ შეადგინა 7,0 ათ. ლარი - ფაქტიური ხარჯვა არ განხორციელებულა;

ინფრასტრუქტურის განვითარების გეგმა 21 039,1 ათ. ლარი - ფაქტი 19 684,4 ათ. ლარი (94%). აქედან:

- გზების კაპიტალური შეკეთების ხარჯების გეგმა 6 789,0 ათ. ლარი - ფაქტი 6 316,0 ათ. ლარი (93%);
- გზების მიმდინარე შეკეთების გეგმა 448,2 ათ. ლარი - ფაქტი 440,5 ათ. ლარი (98%);
- საგზაო ნიშნები და უსაფრთხოების გეგმა 18,3 ათ ლარი - ფაქტი 18,3 ათ. ლარი (100%);
- წყლის სისტემის რეაბილიტაცია გეგმა 588,9 ათ. ლარი - ფაქტი 461,1 ათ. ლარი (78%);
- ა(ა)იპ ონის მუნიციპალური წყალმომარაგების ქსელის მოვლა-შენახვის ცენტრის დაფინანსება 190,0 ათ. ლარი - ფაქტი 189,8 ათ. ლარი (100%);
- გარე განათების ქსელის ექსპლოატაციის ხარჯების გეგმა 80,0 ათ. ლარი - ფაქტი 80,0 ათ. ლარი (100%);
- გარე განათების ელექტროენერგიის ხარჯი 222,3 ათ. ლარი - ფაქტი 222,2 ათ. ლარი (100%);

- კაპიტალური დაბანდებები გარე განათების სფეროში 33,1 ათ. ლარი - ფაქტი 32,2 ათ. ლარი (97%);

- საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია გეგმა 348,5 ათ. ლარი - ფაქტი 348,3 ათ. ლარი (100%);

- მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული შენობების ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია გეგმა 870,4 ათ. ლარი - ფაქტი 698,4 ათ. ლარი (80%);

- საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა - რეაბილიტაცია, ექსპლოატაციის გეგმა 3 307,6 ათ. ლარი - ფაქტი 3 107,8 ათ. ლარი (94%);

- საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვა გეგმა 687,9 ათ. ლარი - ფაქტი 687,5ათ. ლარი (100%);

- სოფლის პროგრამის მხარდაჭერის გეგმა 897,0 ათ. ლარი - ფაქტი 883,7 ათ. ლარი (99%);

- სანიაღვრე არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობის მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის გეგმა 5 093,7 ათ. ლარი - ფაქტი 4 839,0 ათ. ლარი (95%);

- მუნიციპალური ავტოტრანსპორტის განვითარების გეგმა 887,6 ათ. ლარი - ფაქტი 867,5 ათ. ლარი (98%);

- ეკონომიკური განვითარება ბიზნეს კლასტერების შექმნის და ინვესტიციების მოზიდვის მიზნით გაწეული ხარჯების გეგმა 340,0 ათ. ლარი - ფაქტი 256,9 ათ. ლარი (76%).

- სამოქალაქო ბიუჯეტირების პროგრამის გეგმა 236,6 ათ. ლარი - ფაქტი 235,3 ათ. ლარი (99%);

დასუფთავება და გარემოს დაცვის - გეგმა შეადგენდა შესაბამის პერიოდში 857,8 ათ. ლარს, ფაქტი 846,5 ათ. ლარი (99%). აქედან:

- დასუფთავება და ნარჩენების გატანა გეგმა 722,8 ათ. ლარი - ფაქტი 711,5 ათ. ლარი (98%);

- ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის გამწვანების სამსახურისათვის გამოყოფილი სუბსიდიის გეგმა 125,0 ათ. ლარი, ფაქტი 125,0 ათ. ლარი (100%);

- უპატრონო ცხოველების თავშესაფარში გადაყვანის ღონისძიებების გეგმა 10,0 ათ. ლარი - ფაქტი 10,0 ათ. ლარი(100%);

განათლების ღონისძიებების დაფინანსების - გეგმა 854,9 ათ. ლარი - ფაქტი 831,9 ათ. ლარი (97%);

- სკოლამდელი განათლება ბაგა-ბაღების დაფინანსების გეგმა 497,0 ათ. ლარი - ფაქტი 496,5 ათ. ლარი (100%);

- სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობის გეგმა 93,9 ათ. ლარი - ფაქტი 80.7 ათ. ლარი (86%);

- განათლების ობიექტების რეაბილიტაცია, მშენებლობის გეგმა 56,5 ათ. ლარი - ფაქტი 56,5 ათ. ლარი (100%);

- საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა გეგმა 199,0 ათ. ლარი - ფაქტი 190,8 ათ. ლარი (96%);

- წარმატებული სტუდენტებისათვის მერის სტიპენდიის გაცემის ღონისძიებების გეგმა 8,4 ათ. ლარი - ფაქტი 7,4 ათ. ლარი (88%);

კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებების დაფინანსების გეგმა 2 368,9 ათ. ლარი - ფაქტი 2 281,8 ათ. ლარი (96%). აქედან:

- ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ბავშვთა და მოზარდთა სასპორტო სკოლის კომპლექსი გეგმა 258,0 ათ. ლარი - ფაქტი 253,1 ათ. ლარი (98%);

- ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლა მამისონის გეგმა 165,0 ათ. ლარი - ფაქტი 155,1 ათ. ლარი (94%);

- რაგბის ჯგუფის დაფინანსებისათვის გამოყოფილი სუბსიდიის გეგმა 75,0 ათ. ლარი - ფაქტი 75,0 ათ. ლარი (100%);

- წარმატებული სპორტსმენების დახმარების გეგმა 7,0 ათ. ლარი - ფაქტი 5,9 ათ. ლარი (84%);

- კაპიტალური დაბანდებები სპორტის სფეროში გეგმა 503,7 ათ. ლარი - ფაქტი 499,6 ათ. ლარი (99%);

- ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლის გეგმა 86,0 ათ. ლარი - ფაქტი 86,0 ათ. ლარი (100%);

- ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის სამხატვრო სკოლა გეგმა 72,0 ათ. ლარი - ფაქტი 71,9 ათ. ლარი (100%);

- ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის გიგა ჯაფარიძის სახელობის კულტურის ცენტრის დაფინანსების გეგმა 390,0 ათ. ლარი - ფაქტი 340,4 ათ. ლარი (87%);

- მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დაფინანსება გეგმა 95,0 ათ. ლარი - ფაქტი 92,6 ათ. ლარი (97%);

- ბიბლიოთეკის დაფინანსების გეგმა 120,0 ათ. ლარი - ფაქტი 120,0 ათ. ლარი (100%);

- ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ტურისტული ცენტრის დაფინანსება გეგმა 70,0 ათ. ლარი - ფაქტი 69,0 ათ. ლარი (99%);

- კულტურული ღონისძიებების დაფინანსება გეგმა 222,4 ათ. ლარი, ფაქტი 215,5 ათ. ლარი (97%);

- რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობის გეგმა 197,8 ათ. ლარი - ფაქტი 193,4 ათ. ლარი (98%);

- მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის დაფინანსების გეგმა 92,0 ათ. ლარი - ფაქტი 89,2 ათ. ლარი (97%);

- ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტის განხორციელების მხარდაჭერა გეგმა 15,0 ათ. ლარი - ფაქტი 15,0 ათ. ლარი (100%)

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის გეგმა 737,5 ათ. ლარი - ფაქტი 605,6 ათ. ლარი (82%). აქედან:

- საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დაფინანსება გეგმა 179,7 ათ. ლარი - ფაქტი 105,6 ათ. ლარი (59%);

სოციალური უზრუნველყოფა გეგმა 557,8 ათ. ლარი - ფაქტი 500,0 ათ. ლარი (90%). აქედან:

- ავადმყოფთა სოციალური დაცვა გეგმა 149,6 ათ. ლარი - ფაქტი 149,2 ათ. ლარი (100%).

- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა გეგმა 30,0 ათ. ლარი - ფაქტი 25,0 ათ. ლარი (83%).

- სოციალურად დაუცველი ოჯახების ბინის ქირით უზრუნველყოფა, ობოლი ბავშვების, მრავალშვილიანი ოჯახებისა და ბავშვების შეძენასთან დაკავშირებული დახმარების გეგმა 133,2 ათ. ლარი - ფაქტი 128,1 ათ. ლარი (96%).

- ვეტერანთა დაკრძალვის ხარჯის გეგმა 0,5 ათ. ლარი - ფაქტი 0,5 ათ. ლარი (100%).

- სტიქიური უბედურების შედეგად დაზარალებული ოჯახების სოციალური დახმარების გეგმა 88,0 ათ. ლარი - ფაქტი 46,0 ათ. ლარი (52%).

- 8 მარტის, 9 და 26 მაისის, 17 ოქტომბერის და საახალწლო დღესასწაულებთან დაკავშირებით ვეტერანთა ერთჯერადი დახმარების გეგმა 6,2 ათ. ლარი - ფაქტი 3,8 ათ. ლარი (61%).

- სამამულო ომის ვეტერანებისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულთა და ინვალიდთა ოჯახების სოციალური დახმარების გეგმა 2,0 ათ. ლარი - ფაქტი 1,7 ათ. ლარი (85%).

- ას წელს გადაცილებულ ხანდაზმულთა სოციალური დაცვის და უპატრონო მიცვალებულთა დაკრძალვის ხარჯის გეგმა 8,3 ათ. ლარი - ფაქტი 5,9 ათ. ლარი (71%).

- ოკუპირებულ ტერიტორიებთან გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები ოჯახებისათვის ერთჯერადი დახმარების გეგმა 132,6 ათ. ლარი - ფაქტი 132,2 ათ. ლარი (100%)

- ბავშვების უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამის გეგმა 7,5 ათ. ლარი - ფაქტი 7,5 ათ. ლარი (100%).

სარეზერვო ფონდიდან მიმდინარე პერიოდში გაიხარჯა ონის მუნიციპალიტეტის სოფ. ხურუთში მეწყრული პროცესების შედეგად დაზიანებული მისასვლელი გზის რეაბილიტაციისათვის 18,7 ათ. ლარი; ქ. ონში გიგა ჯაფარიძის სახელობის სკვერში დიდთოვლობის შედეგად დაზიანებული სავარჯიშო მოედნის (ტრენაჟორები) რეაბილიტაციისათვის 16,7 ათ. ლარი; ონის მუნიციპალიტეტის კურორტ შოვში გამაფრთხილებელი ნიშნების მოწყობის სამუშაოებისთვის 2,4 ათ. ლარი; ონის მუნიციპალიტეტის სოფ. ჭიბრევში მოსული უხვი ნალექის შედეგად დაზიანებული გზის რეაბილიტაციისთვის 10,0 ათ. ლარი; ონის მუნიციპალიტეტის სოფ. ღებში "ჯვარიგორის" წყალსადენის სათავეში მიმავალი დაზიანებული გზის რეაბილიტაციისთვის 6,2 ათ. ლარი; ონის მუნიციპალიტეტის სოფ.ქვემო ბარში მცხოვრებ მანანა გიორგობიანის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთიდან წყალგაყვანილობის მილის გადატანის სამუშაოებისათვის 5,9 ათ. ლარი; თურქეთში, სტამბოლის კლინიკა "istambul florence nigrtingale hospital"-ში მოქალაქე ნუცა გაგნიძის მკურნალობისთვის 14,9 ათ. ლარი; ონის მუნიციპალიტეტის სოფლებში: ზვარეთში, სევაში, ახალ ჩორდში და ჭიორაში არსებულ წყალსადენის ჭაბურღილებზე ჭების მოწყობის სამუშაოსთვის 2,7 ათ. ლარი; მდ. რიონზე არსებული საავტომობილო ხიდის (შარდომეთის ხიდი) რეაბილიტაციისთვის 7,8 ათ. ლარი; ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კუთვნილი ავტომანქანის (შკოდა, სახ-ფო ნომერი YI 779 II) ძრავის შეკეთებისთვის 2,5 ათ. ლარი; ონის მუნიციპალიტეტის კ. შოვში მემორიალის მოსაწყობად ალტერნატიული გზის (ცენტრალური გზიდან მემორიალამდე მისასვლელი) სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის 19,0 ათ. ლარი; ონის მუნიციპალიტეტის მერიის კუთვნილი ავტომანქანის რემონტისთვის 2,1 ათ. ლარი.

საანგარიშო პერიოდის ბოლოსათვის (01.01.2025წ.) ნაშთი შეადგენდა 1 405,5 ათ. ლარს, მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერებიდან 1 009,2 ათ. ლარს და საკუთარი შემოსავლებიდან 396,4 ათ. ლარს.

შემსრულებელი: თინათინ ბროლაშვილი

ნინო მეტრეველი